საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-299

18/04/2022

ქ. თბილისი

„შპს „რუსელოისის“ ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8ბ“-ს სს „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოის“ კუთვნილ ქვესადგურამდე გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის N 2-38 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის N 2-38 ბრძანებით გაიცა „შპს „რუსელოისის“ ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8ბ“-ს სს „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოის“ კუთვნილ ქვესადგურამდე გაყვანის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა № 139 (30.12.2019წ).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „რუსელოისის“ ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8ბ“-ს სს „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოის“ კუთვნილ ქვესადგურამდე გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის N 2-38 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „რუსელოისს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსელოისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი